



GeoSTM

საქართველოს სტანდარტები  
და მეტროლოგია

# საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

2013 წლის ანგარიში



## შინაარსი

1. ზოგადი ინფორმაცია .....	2
2. სტანდარტიზაცია .....	4
3. მეტეოლოგია .....	8
4. საერთაშორისო აღიარება მეტეოლოგიაში .....	8
5. საერთაშორისო თანამშრომლობა .....	13
6. პროექტები .....	17
7. ღონისძიებები .....	20





## 1. ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო საქმიანობას ახორციელებს ორი ძირითადი მიმართულებით: სტანდარტიზაცია და მეტროლოგია.

სტანდარტების დეპარტამენტი წარმოადგენს სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულს და აერთიანებს სამ სამსახურს, მათ შორის: სტანდარტიზაციის სამსახური - პასუხისმგებელია სტანდარტების ტექნიკური კომიტეტის საქმიანობის მართვაზე და ასევე საქართველოს სტანდარტების პროექტების შესაბამისი ფორმით მომზადებაზე; სტანდარტების რეესტრის სამსახური - პასუხისმგებელია საქართველოს სტანდარტების რეესტრის წარმოებაზე და სტანდარტების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებაზე; მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საინფორმაციო ცენტრი - პასუხისმგებელია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან კომუნიკაციაზე, შესაბამისი ნოტიფიკაციების მომზადებასა და გაგზავნაზე.

სააგენტოს ერთ-ერთ ძირითად სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს მეტროლოგიის ინსტიტუტი, რომელშიც თავის მხრივ, შედის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

ა) ეტალონური განყოფილებები გაზომვების სფეროების მიმართულებით:

- გეომეტრიული გაზომვების ეტალონური განყოფილება;
- ელექტრული გაზომვების ეტალონური განყოფილება;
- მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების ეტალონური განყოფილება;
- მექანიკური გაზომვების ეტალონური განყოფილება;
- რადიაციული მეტროლოგიის ეტალონური განყოფილება;
- რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის ეტალონური განყოფილება;
- ფიზიკურ-ქიმიური ეტალონური განყოფილება.

ეტალონური განყოფილებების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ეტალონური ბაზის მოვლა, განვითარება, საერთაშორისო შედარებებში მონაწილეობა, ასევე გაზომვის საშუალებების დაკალიბრების, დამოწმების, საექსპერტო გაზომვების სამუშაოების შესრულება.





ბ) გაზომვის საშუალებების რეესტრისა და ლეგალიზაციის სამსახური, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს დაკანონებული გაზომვის საშუალებების ტიპის დამტკიცების, აღიარების, რეგისტრაციის და პირველადი დამოწმების აღიარების სამუშაოების განხორციელება, ეროვნული ეტალონების და დაკანონებული გაზომვის საშუალებების ტიპის რეესტრის წარმოება და რეესტრში არსებული ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა;

სააგენტოს - ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუციის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) მოლაპარაკებების შესაბამის სფეროებში: ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები და სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებები.

2013 წელს საქართველოს სტანდარტებისა და მეტეოლოგიის ეროვნული სააგენტო დასახელდა ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ საჯარო ორგანიზაციად ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, 2012-2013 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის.

სააგენტოს ძირითადი პრიორიტეტებია: მეტეოლოგიისა და სტანდარტიზაციის შესახებ ცნობადობის ამაღლება, საქმიანობის გამჭვირვალობა, სააგენტოს სერვისებზე ხელმისაწვდომობა, კერძო და საჯარო სექტორთან ეფექტური კომუნიკაცია.





## 2. სტანდარტიზაცია

სტანდარტიზაციის სფეროში სააგენტოში დაინერგა სტანდარტების ონლაინ გაყიდვის სერვისი, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად მოიძიოს და შეიძინოს მისთვის სასურველი სტანდარტი სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით ([www.geostm.ge](http://www.geostm.ge)).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის (10.09.2012 №1-1/1740) ბრძანების შესაბამისად, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩამოყალიბდა სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტები:

- ტკ-1 „ელექტრო-ტექნიკური კომიტეტი“;
- ტკ-2 „მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასება“;
- ტკ-3 „სასურსათო პროდუქცია“;
- ტკ-4 „ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურებები“.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის „ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ“ შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის განკარგულებით, დამტკიცდა 2013 წლის სტანდარტების პროგრამა, რომლის განახლებაც მოხდა ივლისის თვეში. 2013 წლის განმავლობაში, სტანდარტების პროგრამის შესაბამისად, საქართველოს სტანდარტად მიღებული იქნა 200 საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი.

2013 წლის 12 თვის მდგომარეობით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამდივნოში გაიგზავნა 6 ნოტიფიკაცია, ხოლო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მოთხოვნის საფუძველზე გაიგზავნა 17 ნოტიფიცირებული დოკუმენტის სრული ტექსტი.


2013 წლის 12 თვის განმავლობაში საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO/TBT) ეროვნული საინფორმაციო ცენტრის მიერ საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, კომპეტენციის შესაბამისად, ინფორმაციისათვის გაიგზავნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ მიღებული/მისაღები





ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების პროექტების შესახებ 552 ნოტიფიკაცია (იხ. დიაგრამა 1).


დიაგრამა 1.



სულ: 552 ცალი


2013 წლის 12 თვის განმავლობაში სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის მიერ სულ დარეგისტრირდა 242 სტანდარტი (იხ. დიაგრამა 2), მათ შორის:

- სსტი სო (საერთაშორისო სტანდარტი) - 86,



- სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) - 119,
- სსტ ეტსი ენ (ევროპის ტელეკომუნიკაციების ინსტიტუტის სტანდარტები) - 12;
- მი (მეთოდური ინსტრუქცია) – 1 სტანდარტი;
- სსტ რსტ უსსრ (უკრაინის რესპუბლიკური სტანდარტი) - 3;
- სსტ დსტუ - 3 (უკრაინის სახელმწიფო სტანდარტი) - 1;
- სსტ ენ/ისო (ევროპული სტანდარტი) - 8.
- სსტ აემსა (ამერიკის ე-სითხის სტანდარტების ასოციაციის სტანდარტი)- 1;
- სსტ დინ (გერმანიის სტანდარტიზაციის ინსტიტუტის სტანდარტი) – 2;
- სსტ იეკ (საერთაშორისო სტანდარტი) - 9.

დიაგრამა 2.



2013 წლის 12 თვის განმავლობაში სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის მიერ სულ გაცემულია 223 სტანდარტი (იხ. დიაგრამა 3), მათ შორის:


- სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) – 50;
- სსტ ისო/იეკ (საერთაშორისო სტანდარტი) – 25;





- სსტ ენ (ევროპული სტანდარტი)- 50;
- რსტ (რესპუბლიკური სტანდარტი) - 2;
- სსტ (საქართველოს სტანდარტი) – 13;
- გოსტ (სახელმწიფოთაშორისი სტანდარტი) – 80;
- მი (მეთოდური ინსტრუქცია) – 1 სტანდარტი;
- სსტ აემსა (ამერიკის ე-სითხის სტანდარტების ასოციაციის სტანდარტი) – 1;
- სსტ დინ (გერმანიის სტანდარტიზაციის ინსტიტუტის სტანდარტი) -1.

დიაგრამა 3.







### 3. მეტროლოგია

2013 წლის 22 იანვარს გერმანულ-ქართული პროექტის „საქართველოს ხარისხის ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა მეტროლოგიაზე განსაკუთრებული აქცენტი“ ფარგლებში, გაიხსნა განახლებული და თანამედროვე დონეზე აღჭურვილი ელექტროგაზომვების ეტალონური ლაბორატორია.



გერმანული მხარის მიერ შეძენილ იქნა და დამონტაჟდა ეტალონური აღჭურვილობა, ხოლო ქართული მხრის მიერ მომზადდა ლაბორატორიული ოთახები, დამონტაჟდა კლიმატ-კონტროლის აღჭურვილობა. ლაბორატორიის თანამშრომლებმა გადამზადება გაიარეს გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტში (PTB).





TWINNING-ის პროექტის ფარგლებში (დონისძიება 2.14) ჩატარდა საქართველოში პირველი ლაბორატორიათშორისი შედარებები მასის სფეროში (საწონები 1კგ, 50გ, 5გ და 100მგ), რომელშიც სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მასის ლაბორატორიამ შეასრულა პილოტი ლაბორატორიის ფუნქცია. შედარების მომზადების, ჩატარებისა და შედეგების დათვლის პროცესს კონსულტაციასა და მონიტორინგს უწევდა გერმანელი ექსპერტი.

სააგენტოს მიერ მომზადდა და დამტკიცდა სახელმწიფო ეროვნული ეტალონების რეგისტრაციის ახალი წესი. აღნიშნული წესის შესაბამისად განხორციელდა სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ლაბორატორიების მიერ სახელმწიფო ეროვნული ეტალონების რეგისტრაციის პროცედურები. სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის გაზომვის საშუალებების ლეგალიზაციისა და რეესტრის სამსახურის კოორდინირებით სახელმწიფო ეროვნული ეტალონების რეესტრში შეტანილ იქნა მეტროლოგიის ინსტიტუტის მასის, ელექტრობის, მექანიკის, ფიზიკო-ქიმიური გაზომვების, გეომეტრიული გაზომვების და რადიაციული მეტროლოგიის ეტალონური განყოფილებების მიერ წარმოდგენილი ეროვნული ეტალონები. აღნიშნული რეესტრი განთავსებულია სააგენტოს განახლებულ ვებ-გვერდზე.

სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონებისა და გაზომვის საშუალებების მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად, პერმანენტულად დასაკალიბრებლად იგზავნება სხვადასხვა ქვეყნის CMC ჩანაწერების (გაზომვის და დაკალიბრების შესაძლებლობები) მქონე მეტროლოგიის ინსტიტუტებში და/ან საერთაშორისო აღიარების მქონე ლაბორატორიებში. 2013 წელს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური გაზომვის საშუალებები დაკალიბრდა:

- გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტში (PTB),
- აღიარებული აკრედიტაციის მქონე გერმანიის საკალიბრო ლაბორატორიაში (ZMK).
- ბელარუსის მეტროლოგიის ინსტიტუტში (BelGIM);
- უკრაინის მეტროლოგიის ინსტიტუტში (UkrTestMetrStandard);
- ჩეხეთის მეტროლოგიის ინსტიტუტში (CMI).





დასრულდა ელექტრული წინაღობის ეტალონური ზომების 10 ომი და 100 კომი ორმხრივი შედარებები სააგენტოსა და PTB-ის შორის (COOMET-ის პროექტი №571/GE/12). საბოლოო ანგარიში განხილული იყო COOMET-ის ელექტრობის ტექნიკური კომიტეტის (TC 1.3) სხდომაზე 19-21 ნოემბერს ქ. სანქტ-პეტერბურგში, დადებითი შედეგებით. აღნიშნული ორმხრივი შედარება დარეგისტრირდა BIPM-ის დამატებითი შედარებების მონაცემთა ბაზაში და მიენიჭა ნომერი COOMET.EM-S17.

COOMET-ის ფარგლებში მომზადდა და დამტკიცდა ახალი პროექტი №624/GE/13 „ელექტრული წინაღობის ეტალონური ზომების 100 ომი და 100 კომი საერთაშორისო შედარებები“. ამ შედარებებში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ელექტროგაზომვების ლაბორატორია იქნება ე.წ. პილოტი ლაბორატორია.

ელექტროგაზომვების სფეროში სააგენტო მონაწილეობს COOMET №604/RU/13 თემის „სამრეწველო სიხშირის 1-დან 150 კვ-მდე ძაბვის დიაპაზონში ელექტრული ტევადობის და დიელექტრიკული დანაკარგების კუთხის ეტალონური გაზომვის სისტემების“ დამატებით საერთაშორისო შედარებებში, მონაწილეები - GeoSTM (საქართველო), CMI (ჩეხეთი), პილოტი VNIIMS (რუსეთი).

სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ფიზ-ქიმიურმა განყოფილებამ ძალზედ წარმატებული შედეგი აჩვენა მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის საკვანძო შედარებაში (თემა COOMET QM – K36) 0,5 სიმ/მ ელექტრული გამტარებლობის გაზომვის შედეგების ექვივალენტურობის დადგენის მიზნით. მიღებულია COOMET-ის ფიზიკო – ქიმიური ტექნიკური კომიტეტის (TC 1.8) საბოლოო B ტიპის ანგარიში, სადაც დაფიქსირებულია სააგენტოს ელექტროლიტთა ხსნარების ხვედრითი ელექტრული გამტარებლობის სახელმწიფო (ეროვნულ) ეტალონზე ჩატარებული გაზომვის წარმატებული შედეგები.

საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მიერ მოწოდებულ იქნა რუსეთის ფერედერაციის მიერ წარმოდგენილი ზემო ლარსის სახელმწიფოთაშორისო გაზის გამზომი კვანძის პროექტი და აზერბაიჯანული მხარის მიერ წარმოდგენილი ხრამის სახელმწიფოთაშორისო გაზის გამზომი კვანძის პროექტი. აღნიშნული დოკუმენტაციის მეტროლოგიური შემოწმება განახორციელა სააგენტოს მექანიკის განყოფილებამ.





2013 წლის 12 თვის მდგომარეობით სააგენტოს მაიონიზებული მეტროლოგიის განყოფილებამ დაკალიბრების მომსახურება გაუწია სხვადასხვა დაინტერესებულ პირებს, დაკალიბრება - 37 ხელსაწყო, მათ შორის აზეზაიჯანის რესპუბლიკისათვის 15 ხელსაწყო; ნიმუშის რადიაციული კვლევა - 21 ერთეული, განხორციელდა დაბალი აქტივობის გამოსხივების წყაროს Cs-137 გამოსხივების ველის კვლევა და განუსაზღვრელობის ანალიზი, ასევე გამოსხივების წყარო ირიდიუმი 192 (2 ერთეული) ფონური გაზომვა. განყოფილების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს COOMET-ის პროექტის 445/DE/08 ფარგლებში ჩატარებული წრიული შედარებების შედეგების განხილვაში (გერმანია, ქ. ბრაუნშვაიგი).

სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ფიზ-ქიმიური გაზომვების განყოფილების მიერ 2013 წ. 12 თვის განმავლობაში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: დაკანონებული გაზომვის საშუალებების ტიპის რეესტრში შეტანილ იქნა ალკოჰოლის განმსაზღვრელი ჩასაბერი მოწყობილობა, მოდელი FIT 240, შესრულდა ალკოჰოლის განმსაზღვრელი ჩასაბერი მოწყობილობის 300 ერთეულის პირველადი დამოწმების აღიარების სამუშაოები, დამოწმდა 317 ცალი ალკომეტრი.

სააგენტოს რადიოფიზიკის, ოპტიკის და აკუსტიკის განყოფილების მიერ ჩატარდა საკონტროლო-სალარო აპარატის პროგრამული უზრუნველყოფის გამოცდის სამუშაოები, ასევე ხმაურის დონის გაზომვის სამუშაოები.

ტიპის რეესტრი (ექსპერტიზა, აღიარება, რეგისტრაცია): 2013 წლის 12 თვის მდგომარეობით სულ რეგისტრირებულია დაკანონებული გაზომვის საშუალების 36 ტიპი;


2013 წლის 12 თვის მდგომარეობით განხორციელდა 223 773 ერთეული გამზომი საშუალების პირველადი დამოწმების აღიარება (იხ. დიაგრამა 4), მათ შორის:

- ელექტრომრიცხველები - 4 288 ცალი;
- გაზის მრიცხველები - 85 048 ცალი;
- წყლის მრიცხველები - 134 137 ცალი;
- ალკოტესტერი - 300 ცალი.






დიაგრამა 4.



სულ: 223 773 ერთეული





#### 4. საერთაშორისო აღიარება მეტეოლოგიაში

საქართველოს სტანდარტებისა და მეტეოლოგიის ეროვნული სააგენტოს მეტეოლოგიის ინსტიტუტის საერთაშორისო დონეზე აღიარების მიზნით, სააგენტოში დაინერგა ISO/IEC 17025 საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ხარისხის მენეჯმენტის სისტემა.

2013 წლის 15-17 ოქტომბერს ჩატარდა სააგენტოს მეტეოლოგიის ინსტიტუტის სამი ლაბორატორიის - მასა, ტემპერატურა და ელექტროგაზომების ლაბორატორია - საერთაშორისო შემოწმება. აღნიშნული შემოწმება ჩატარდა მეტეოლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის (COOMET) ექსპერტების მიერ. სამივე ლაბორატორიამ წარმატებით გაიარა შემოწმება. შეფასების დადებითი შედეგებიდან გამომდინარე, მოხდა ქვეყნის მეტეოლოგიური ინფრასტრუქტურის, ტექნიკური კომპეტენტურობის აღიარება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას, ეროვნული პროდუქციის შეღწევადობას საერთაშორისო ბაზრებზე.



მექანიკური გაზომვების ეტალონური განყოფილების ტემპერატურული გაზომვების  
ლაბორატორია



პლათინის წინაღობის სანიმუშო  
თერმომეტრების,  
სითხიანი და ვერცხლისწყლიანი  
თერმომეტრების დაკალიბრება

მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების ეტალონური განყოფილება



E2 სიზუსტის კლასის საწონების დაკალიბრება



## ელექტროგაზომების ეტალონური განყოფილება



### სფეროები:

- მუდმივი ძაბვა
- წინაღობა
- ტევადობა
- დენის და ძაბვის კოეფიციენტი და ფაზური კუთხე
- ცვლადი ძაბვა და ცვლადი დენი







## 5. საერთაშორისო თანამშრომლობა

სააგენტო სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში არის შემდეგი საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების წევრი:

### მეტროლოგია:

- BIPM - ზომისა და წონის საერთაშორისო ბიურო;
- OIML - საკანონმდებლო მეტროლოგიის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- COOMET - ევროპა-აზიის მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტების თანამშრომლობა;
- EASC - ევროპა-აზიის სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფოთაშორისი საბჭო;

### სტანდარტიზაცია

- ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- IEC - საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია;
- CEN - სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტი;
- CENELEC - ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტი;
- IRSA - სტანდარტიზაციის რეგიონთაშორისი ასოციაცია.

სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობა სააგენტოს აძლევს საშუალებას ჰქონდეს პირდაპირი წვდომა ამ ორგანიზაციების მიერ მიღებული სტანდარტების ბაზებზე და მოახდინოს ამ სტანდარტების საქართველოში გავრცელება, ხოლო მეტროლოგიის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობა უზრუნველყოფს საქართველოში განხორციელებული გაზომვების საერთაშორისო მიკვლევადობასა და აღიარებას. შესაბამისად, აღნიშნულ ორგანიზაციებში სააგენტოს წევრობა და აქტიური მონაწილეობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ზრდას საერთაშორისო და ევროპულ დონეზე.

2013 წლის 22 მაისს, საქართველო - ავსტრიის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი მთავრობათაშორისი კომისიის მესამე სხდომის ფარგლებში, ხელი





მოწერა საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსა და ავსტრიის სტანდარტების ინსტიტუტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს სააგენტოსა და ავსტრიის სტანდარტების ინსტიტუტს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, ინფორმაციის ურთიერთგაცვლას, ერთობლივ ღონისძიებებს და გამოცდილების გაზიარებას სტანდარტიზაციის სფეროში.

2013 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსა და უკრაინის ჩერკასის ოლქის სტანდარტმეტროლოგიას შორის ხელი მოეწერა მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის მიზანია თანამშრომლობის გაღრმავება სააგენტოსა და ჩერკასი-სტანდარტმეტროლოგიას შორის, გამოცდილებისა და მიღწევების ურთიერთგაზიარება.

## 6. პროექტები

სააგენტო არის ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების პროგრამის - CIB ერთ-ერთი ბენეფიციარი. აღნიშნული პროგრამა სამ ეტაპად განხორციელდება.

**პირველი ეტაპი** - ბიუჯეტი € 698 000 (საგრანტო კონტრაქტი )

- სააგენტოს ფიზიკური ინფრასტრუქტურის - შენობის და დამხმარე ინფრასტრუქტურის განახლება საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად.

**მეორე ეტაპი:**

- სააგენტოს ინსტიტუციონალური გაძლიერება, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, - ტექნიკური დახმარება, დაწყება დაგეგმილია 2014 წელს.
- სააგენტოს ეტალონური ბაზის განახლება და თანამედროვე ეტალონური აღჭურვილობის შეძენა დაგეგმილია 2014 წლის ბოლოს / 2015 წლის დასაწყისში.





## მესამე ეტაპი:

- სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერებას DCFTA-ის მოთხოვნების სრული იმპლემენტაციისათვის (მეტროლოგიური დირექტივების დანერგვა, EU სტანდარტების მიღება).

როგორც უკვე აღინიშნა, 2012 წლის 3 დეკემბერს ხელი მოეწერა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის, „ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარება - CIB“ (Comprehensive Institution Building), პირველი ეტაპის საგრანტო კონტრაქტს, რომელიც ითვალისწინებს სააგენტოს ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. ძირითადი აქცენტი გაკეთდება მეტროლოგიურ ლაბორატორიებზე, რათა მოხდეს ევროპული სტანდარტების შესაბამისი მომსახურების მიწოდება დაინტერესებული მხარეებისთვის. დაწყებულია კონტრაქტით გათვალისწინებული ღონისძიებები - ელექტრონული ტენდერის საფუძველზე გამოვლინდა შესაბამისი კომპანია, რომელიც ახორციელებს კონტრაქტით გათვალისწინებული საქმიანობის მენეჯმენტს. კონკურსის საფუძველზე შეირჩა კომპანია, რომელიც ახორციელებს შენობის რეკონსტრუქციის არქიტექტურულ, დიზაინის და საინჟინრო გეგმას. TWINNING-ის პროექტის გერმანელი ექსპერტების მიერ მომზადდა დოკუმენტი „ზოგადი ტექნიკური მოთხოვნები ლაბორატორიული ფართების მიმართ“, რომელიც გათვალისწინებული იქნება ლაბორატორიული ფართების არქიტექტურული და საინჟინრო გეგმის მომზადებისას, რომლის საფუძველზეც განხორციელდება ასევე სარემონტო სამუშაოები.

რეგიონალური პროექტ „კალიდენას“ (CALIDENA) ფარგლებში, GIZ – გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა და PTB - გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტის დაფინანსებით, სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტისა და სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს პროექტში, რომელიც ითვალისწინებდა თხილის სექტორში მომუშავე გადამამუშავებელი საწარმოების, ფერმერების, დისტრიბუტორების და სხვა დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდებასა და სხვადასხვა სახის დახმარებას სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში, კერძოდ, სააგენტოს





წარმომადგენლებმა პროექტში მონაწილე ორგანიზაციებისა და კომპანიების წარმომადგენლებს მიაწოდეს ინფორმაცია სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში სააგენტოს მომსახურების თაობაზე, ასევე პრაქტიკული ინფორმაცია გაზომვის საშუალებებთან მოპყრობის, მათი მოვლის, დაკალიბრების და მიკვლევადობის უზრუნველყოფის თაობაზე.

ამავე პროექტის ფარგლებში, გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტის მხარდაჭერით, აგვისტოს თვეში, სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მასის განყოფილებამ განახორციელა თხილის გადამამუშავებელ საწარმოებში (ზუგდიდი, სენაკი, ახმეტა) დაკალიბრების სამუშაოები საწარმოებში არსებულ სასწორებზე.

პროექტის ფარგლებში ასევე მომზადდა „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო თხილის სექტორისთვის“, რომლის შემუშავებაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის და მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა.

TWINNING პროექტის ფარგლებში, პერმანენტულად ტარდება სემინარები და ტრენინგები სტანდარტიზაციის და მეტროლოგიის სფეროში, ასევე განხორციელდა სააგენტოს თანამშრომლების სასწავლო ვიზიტები.

TWINNING პროექტის ფარგლებში ასევე განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- მომზადდა და გაიშვა სააგენტოს ახალი ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსებულია სტანდარტების კატალოგი და დაკანონებული გაზომვის საშუალებების ტიპების რეესტრის მონაცემთა ბაზები;
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების მიერ, რომლებიც ემზადებიან საერთაშორისო აღიარებისათვის - ელექტრო გაზომვების, მასის და მექანიკის (ტემპერატურული გაზომვების ლაბორატორია) განყოფილებები, გერმანელ ექსპერტებთან კონსულტაციით მომზადდა განაცხადი CMC (დაკალიბრების და გაზომვის შესაძლებლობები) საერთაშორისო ცხრილებისთვის;
- სააგენტოში 2013 წლის 27 მარტს ჩატარდა მენეჯმენტის მხრიდან ანალიზი, რაც წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტი ISO/IEC 17025-ის მოთხოვნას და ასევე უცხოელი ექსპერტების ერთ-ერთი რეკომენდაციას. შეხვედრაზე განხილულ იქნა სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტში საერთაშორისო სტანდარტის ISO/IEC 17025





დანერგვასთან და ინსტიტუტის ხარისხის მენეჯემენტის სისტემის საერთაშორისო აღიარებასთან დაკავშირებული საკითხები.

## 7. ღონისძიებები

2013 წლის 5 დეკემბერს, სასტუმრო „რედისონში“ გაიმართა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული TWINNING-ის პროექტის - „მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის გაძლიერება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად (GE10/ENP-PCA/TR/05)“- დახურვის კონფერენცია. კონფერენციაზე საბოლოოდ იქნა შეჯამებული პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები.

2013 წლის 10 დეკემბერს სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ შედგა ორმხრივი ქართულ-გერმანული თანამშრომლობის პროექტის დახურვის კონფერენცია „10 წლიანი თანამშრომლობა საქართველოსა და გერმანიის მეტროლოგიის ეროვნულ ინსტიტუტს (PTB) შორის“.

2013 წლის 12 თებერვალს სასტუმრო „ამბასადორში“ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული TWINNING პროექტის - „მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის გაძლიერება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად“, ფარგლებში გაიმართა სემინარი თემაზე - „მწარმოებლების, ნოტიფიცირებული უწყებების, დისტრიბუტორებისა და ეროვნული უწყებების როლი და მოვალეობები სამრეწველო პროდუქციასთან დაკავშირებული მიმდინარე ევროპული კანონმდებლობის მიხედვით - ახალი და გლობალური მიდგომები - ძალისხმევისა და წარმატების ისტორია“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა სამინისტროების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეწარმეები და სხვა დაინტერესებული პირები.

2013 წლის 23 აპრილს სასტუმრო „ამბასადორში“ ზემოთხსენებული TWINNING პროექტის ფარგლებში, გაიმართა სემინარი თემაზე - „ევროპული ბაზრის რეგულირების მოდელის დანერგვა დაკანონებულ გაზომვის საშუალებებთან





მიმართებაში, რომლებიც ასახულია ევროპულ დირექტივებში გაზომვის საშუალებების (MID) და აწონვის არაავტომატური საშუალებების (NAWID) შესახებ”.

TWINNING პროექტის ფარგლებში 14 მაისს ჩატარდა სემინარი თემაზე „ლაბორატორიათაშორისი შედარებები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც სააგენტოს და აკრედიტაციის ცენტრის, ასევე იმ კერძო ლაბორატორიების წარმომადგენლებმა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ დაგეგმილ ლაბორატორიათაშორის შედარებებში (TWINNING პროექტის ღონისძიება 2.14).

2013 წლის 31 მაისს საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში გაიმართა შეხვედრა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კვების პროდუქტების ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტებთან. შეხვედრის თემა იყო „სტანდარტიზაცია, სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები, ტექნიკური კომიტეტები, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან ნოტიფიცირების პროცედურები“.





**GeoSTM**

საქართველოს სტანდარტები  
და მეტროლოგია



ჩარგლის ქ. 67, თბილისი 0178



(+995 32) 261 35 00



geostm@geostm.ge

[www.geostm.ge](http://www.geostm.ge)